

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი TEMPUS-ის ფარგლებში მიმდინარე პროექტის მონაწილეებს უმასპინძლებს

10:09 14-10-2014



გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი TEMPUS-ის ფარგლებში მიმდინარე პროექტის საკოორდინაციო შეხვედრის მონაწილეებს უმასპინძლებს. პროექტი მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმის კომპეტენციის ცენტრის კონცეფციის საბოლოო ვერსიის პრეზენტაციას; საკრუიზო

ტურიზმის რეგიონული კვლევებისა და კონსალტინგის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაციებს, მიმოხილვებსა და დისკუსიებს; პროექტში მონაწილე ევროპელ პარტნიორებთან ერთად პროექტის მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების დაგეგმვას; პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული სემინარების ორგანიზებასა და პროექტის მიმდინარეობის ცხრა თვის შედეგების შეფასებას.

შავი ზღვის აუზის, კერძოდ, კი საქართველოს ფართო ინტეგრაცია საკრუიზო ტურიზმის ბაზარზე კერძო სექტორის სტრატეგიაზე, რეგიონული და ლოკალური დონის ავტორიტეტების მოქნილობასა და აკადემიური წრეების აქტივობებზეა დამოკიდებული. პროექტის იდეაა ე.წ. ცოდნის სამკუთხედის - განათლება, კვლევა, ინოვაციები - გზით ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის გარდა აღნიშნულ პროექტში გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საქართველოსა და უკრაინის თხუთმეტი უმაღლესი სასწავლებელი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ბათუმის, ასევე შავი და აზოვის ზღვების პორტების ასოციაცია და ტურისტული კომპანიები იღებენ მონაწილეობას. პროექტის კოორდინატორია პადერბორნის უნივერსიტეტი. პროექტი 2013 წელს დაიწყო და 2016 წელს დასრულდება.

interpressnews.ge
14.10.2014